სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის რესურსების XI-C სალიცენზიო ბლოკზე, (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) შპს „ბლოკ ოფერეითინგ კომპანი“-ს დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გეო კონსალტინგი“ ამზადებს ნორიოს ნავთობშემკრები პუნქტის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ (გზშ), რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გზშ-ის მომზადების პირველ ეტაპს წარმოადგენს სკოპინგის ანგარიში (პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და აღნიშნული ინფორმაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს), რომლის ს ა ჯ ა რ ო გ ა ნ ხ ი ლ ვ ა გაიმართება 2026 წლის 24 ივლისს 14 საათზე სოფელ ნორიოში.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოპინგის ანგარიში ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე (ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო/State Agency of Oil and Gas) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gardabani.gov.ge), ასევე მოთხოვნის შემთხვევაში სააგენტოსა (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№2), და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (დ.აღმაშენებლის ქ. №127) ხელმისაწვდომია სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ეგზემპლარი.

საზოგადოებას უფლება აქვს სკოპინგის ანგარიშის განთავსებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით (წერილობით; საჯარო განხილვის დროს; ელექტრონული საშუალებით, თუ ის იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების საშუალებას).

საჯარო განხილვა ღიაა და საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მასში.